

---

## იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი (ჯისიი), 2003, 356, ISBN 99940-17-27-6.

მიუხედავად სირთულეებისა, საქართველოში ნელ-ნელა მკვიდრდება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრინციპები. ასეთი ნაშრომის შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველოში უკვე მიღებულია ადამიანის უფლებათა შესახებ ძირითადი ნორმატიული აქტები, მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს საკმარისი პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ნორმების სწორი გამოყენების თვალსაზრისით. ასეთი პრაქტიკის არარსებობის გამო, დიდა ამ საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების არასწორი განმარტებისა და გამოყენების ალბათობა. ამიტომ ნაშრომი ადამიანის ძირითად უფლებათა შესახებ უდავოდ დაეხმარება ამ სფეროში მომუშავე პირებს, გაათვითცნობიერონ საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და დაამკვიდრონ მათი გამოყენების სწორი პრაქტიკა.

წიგნის მნიშვნელობა დიდა ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დღემდე საქართველოში არ შესრულებულა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების ფუნდამენტური კვლევა. განსხვავებით სხვა ნაშრომებისაგან, რომლებშიც რომელიმე კონკრეტული კონსტიტუციური უფლება ან ერთ-ერთი მისი ასპექტია განხილული, ეს ნაშრომი პრაქტიკულად ყველა ფუნდამენტურ უფლებას მოიცავს.

ნაშრომის მეთოდოლოგია დაფუძნებულია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე. იგი დაფუძნებულია დასავლური სახელმძღვანელოების სტრუქტურაზე და მკითხველს უადვილებს ამა თუ იმ ფუნდამენტური უფლების შინაარსის შესწავლას. ნაშრომის ერთ-ერთი დადებითი მხარე არის ის, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განხილულია არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ დონეზეც. მასში მოყვანილია არაერთი პრაქტიკული მაგალითი, რომლებიც მკითხველს საშუალებას აძლევს, ღრმად ჩასწვდეს ამ უფლებების შინაარსს. ეს მაგალითები როგორც ჰიპოთეზურია, ისე რეალურია. ავტორმა წარმატებით გაართვა თავი ადამიანის უფლებათა დაცვაში ხანგრძლივი ტრადიციების მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას.

ნაშრომში მრავლადაა მოყვანილი ევროპისა და ამერიკის სასამართლო პრაქტიკა ამ უფლებათა და თავისუფლებათა განმარტების თვალსაზრისით. ეს აძლევს ქართველ მკითხველს საშუალებას, გაეცნოს სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის გზებს. ასეთი გამოცდილების გაზიარება ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი სახელმძღვანელოა, ავტორმა შესანიშნავად შეძლო, ერთი მხრივ, სახელმძღვანელოებისათვის დამახასიათებელი სტილით მისი შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, მკითხველს საკმარისი დეტალურობით წარმოუჩინა ამა თუ იმ უფლების გარშემო არსებული სირთულეები. ასეთი ბალანსის დაცვა, რომელსაც ავტორმა წარმატებით გაართვა თავი, ძალზე რთულია. რაც შეეხება წიგნის სტრუქტურას, ავტორმა თითოეული უფლების განხილვამდე გააანალიზა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა კარგად გათვითცნობიერების გარეშე ძალზე რთული იქნებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემეტიკის ღრმად შესწავლა. ნაშრომი შესრულებულია ისეთი მარტივი ენით, რომ იგი გასაგები იქნება არა მხოლოდ იურისტების, არამედ სხვა პროფესიის ადამიანებისათვისაც.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომლებიც მყარ საფუძველს ქმნიან კონკრეტულ უფლებათა შინაარსის შესასწავლად. ავტორმა საჭიროდ მიიჩნია, ადამიანის უფლებათა საკითხების შესწავლა დაეწყო ზოგიერთი ისეთი ფუნდამენტური საკითხის ანალიზით, როგორცაა სახელმწიფო და სამართალი. ასეთი მიდგომა გამართლებულია ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფციის სწორი გაგებისათვის. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი განმარტავს ზოგიერთ ისეთ ცნებასა და კონცეფციას, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ადამიანის უფლებათა სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. ასეთი განმარტებები მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ადამიანის უფლებათა სამართლის შესწავლის მსურველებს.

ავტორი ასევე მიმოიხილავს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას და მის ძირითად პრინციპებს. ასეთი მიმოხილვა უდავოდ მნიშვნელოვანია იმ პრინციპების გასათვითცნობიერებლად, რომლებზეც დაფუძნებულია საქართველოს კონსტიტუცია. ისეთი პრინციპების განმარტება, როგორებიცაა: „დემოკრატიული რესპუბლიკა“, „სახალხო სუვერენიტეტი“, „სამართლებრივი სახელმწიფო“, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებული პირების, არამედ ყველა იურისტისათვის, ვინაიდან ამ პრინციპებს ემყარება საქართველოს კონსტიტუცია და, შესაბამისად, ქვეყნის სამართლებრივ-პოლიტიკური სისტემა.

ნაშრომის პირველ ნაწილში ავტორი მიმოიხილავს ადამიანის ძირითადი უფლებების ისტორიულ განვითარებას. მასში გაანალიზებულია ყველა ის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფციის განვითარებას, მათ შორის: Magna Carta-ს, Act of Habeas Corpus-ს, ვირჯინიის 1776 წლის დეკლარაციასა და საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაციას და რომლებმაც სტიმული მისცეს ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური უფლებების განვითარებას ევროპაში. ამავე ნაწილში ავტორი იხილავს ადამიანის ძირითად უფლებათა ცნებასა და სახეებთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი სწორად ახდენს ადამიანის ძირითადი უფლებების კლასიფიცირებას დაცული სიკეთის მიხედვით (თავისუფლების უფლებები, თანასწორობის უფლებები და საპროცესო უფლებები).

ნაშრომის პირველი ნაწილის მე-5 ქვეთავში ავტორი იხილავს ადამიანის ძირითადი უფლებების ადგილს საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. ამ ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის საკითხი, რომელიც ეხება ძირითად უფლებათა შეზღუდვის საფუძველებს. ნაშრომში სწორად აღინიშნება, რომ „საქართველოს კონსტიტუციით ზოგიერთი ძირითადი უფლებისათვის არ არის დადგენილი შეზღუდვის საფუძველი. ასეთი ძირითადი უფლება აბსოლუტურად უზრუნველყოფილად ითვლება და სახელმწიფოს არც ერთ შემთხვევაში, თვით კანონის საფუძველზეც კი არ შეუძლია ამ უფლების შეზღუდვა“.

ამასთანავე, ავტორი აანალიზებს ე.წ. კვალიფიცირებულ უფლებებს და აყალიბებს იმ პირობებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა მართლზომიერი შეზღუდვისათვის. იგი ასევე აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი ადამიანის უფლებათა შეზღუდვისათვის ადგენს გარკვეულ პირობებს (მაგ., შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე; შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ სახელმწიფოში). მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, სასურველი იქნებოდა ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლების, ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციის, შესაბამისი უფლებების შეზღუდვის მესამე ელემენტზე ყურადღების გამახვილება, კერძოდ, ადამიანის უფლებათა შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს (სახელმწიფო უშიშროების ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ა.შ.). მართალია, ავტორი ამ სამი პირობის საფუძველზე აანალიზებს ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის საკითხს, მაგრამ სასურველი იქნებოდა მასზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილება შესავალ ნაწილში.

ავტორი სწორად აყალიბებს იმ სტრუქტურას, რომელიც ძირითადი უფლების მნიშვნელობის განხილვისა და ასეთი უფლების დარღვევის შემონეშების საშუალებას იძლევა. ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური სქემის საფუძველზე ფასდება ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლ-ზომიერება საერთაშორისო დონეზეც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზუსტად ამ მეთოდოლოგიით აფასებს, დაირღვა თუ არა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეძღვნება ცალკეული ძირითადი უფლების შესწავლას. მასში განხილულია: ადამიანის ღირსების პატივისცემის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, სიცოცხლის და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები, პირადი ცხოვრების, მიმონერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები, საკუთრების უფლება, მიმოსვლის, ხელოვნების, აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლებები, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის ძირითადი უფლება და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ხსენებულ უფლებასა და თავისუფლებას ავტორი ზემოაღნიშნული სტრუქტურის მიხედვით იხილავს, რაც უადვილებს მკითხველს მის აღქმასა და სისტემატიზებას. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის, რომ ავტორს არაერთი პრაქტიკული მაგალითი მოჰყავს, რაც უდავოდ ამდიდრებს ნაშრომს. ნიშანდობლივია, რომ ავტორი საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების მაგალითებთან ერთად, ახერხებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრეცედენტების მოშველიებას.

ყველა ზემოაღნიშნული უამრავ დადებით ასპექტთან ერთად, აღსანიშნავია რამდენიმე საკითხი, რომელთა დაზუსტება კიდევ უფრო გააუმჯობესებდა ამ ნაშრომს. ნაშრომის 1-ლ გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით სწორედ ასეთი „სახელმწიფო“ შეიძლება იყოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი“. მართალია, ავტორის მოსაზრებას იურისტების ნაწილი იზიარებს, სასურველია აღინიშნოს, რომ „სახელმწიფოს“ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარებისათვის სხვა ისეთი კრიტერიუმებიც არსებობს, როგორებიცაა: საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უნარი და აღიარება.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა დეტალურად განიხილა ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესო იქნებოდა ის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური დებულებები. უშუალოდ ძირითად უფლებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი მანიფესტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით. თუმცა აშკარაა, რომ ავტორი იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადანწყვტილებას (რასაც ადასტურებს სქოლიოში მისი მოხსენიება), საინტერესო იქნებოდა მისეული შეფასება კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ტექნიკურ შენიშვნებს, აღსანიშნავია შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ავტორს არაერთი ნაშრომი აქვს გამოყენებული სახელმძღვანელოზე მუშაობისას, სასურველი იქნებოდა გამოყენებული წყაროების უფრო ხშირად მითითება მკითხველისათვის განსახილველ საკითხთა გარშემო დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მიუხედავად ამისა, ნიგნი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში ადამიანის უფლებათა სამართლის ღრმად შესწავლასა და ადამიანის უფლებათა დაცვის სწორი პრაქტიკის დამკვიდრებაში.

კონსტანტინე კორკელია

გელა ბეჟუაშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკის საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები, თბილისი (რაოე), 2003, 133, ISBN99928-30-46-8

საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს, განისაზღვრება მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ხდება მათი კორექტირება. ქვეყანა თავის ადგილს იმკვიდრებს საერთაშორისო თანამეგობრობაში.

ამ პერიოდში უდავოდ უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ქვეყნის ისეთი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრას, რომელიც ზუსტად ასახავს საქართველოს ინტერესებსა და მის ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში, რისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების საერთაშორისოსამართლებრივ ასპექტებს. ამ თემას ეძღვნება ბეჟუაშვილის ნაშრომი „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები“.

ნაშრომში კომპლექსურად არის შესწავლილი არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები, არამედ მისი კავშირი და ურთიერთქმედება საშინაო პოლიტიკასთან, ვინაიდან ამ უკანასკნელს დიდი როლი მიუძღვის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

ნაშრომში მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება, თუმცა რამდენიმე მათგანი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. კერძოდ, ავტორი ასაბუთებს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის შემუშავების აუცილებლობას და ხაზს უსვამს ამ კონცეფციაში საერთაშორისოსამართლებრივ პრობლემატიკას. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ასეთი კონცეფციის გარეშე პოლიტიკა მოკლებული იქნება სტრატეგიას და ეროვნულ ინტერესთა დაცვის საიმედო საშუალებად არ გამოდგება.

ასევე განხილულია საქართველოს საერთაშორისოსამართლებრივი კონცეფციის, როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ნაწილის, ჩამოყალიბების საკითხი. მართებულია ის დიდი ყურადღება, რომელსაც ავტორი უთმობს თავის ნაშრომში საერთაშორისო სამართლის მზარდ გავლენას საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. ეს დასტურდება იმ როლით, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუცია ანიჭებს საერთაშორისო სამართალს და, განსაკუთრებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

წიგნში გაშუქებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკის სხვა საინტერესო საკითხები, მათ შორის საგარეო პოლიტიკის პრინციპები და მიზნები, დიპლომატია, როგორც საგარეო პოლიტიკისა და ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის ინსტრუმენტი, საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარების პერსპექტივები, საგარეო პოლიტიკის საკონსტიტუციო სამართლებრივი საფუძვლები. ეს უკანასკნელი საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეხება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა როლს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში და ხელისუფლების განაწილების პრინციპის გამოყენებას საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები საყურადღებოა და ისინი თავის წვლილს შეიტანენ უფლებამოსილებათა გონივრულად განაწილების საკითხში.

ნაშრომის დასასრულს ავტორი გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების სამომავლო პერსპექტივებისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტირების შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ნაშრომს არა მხოლოდ თეორიული ღირებულება აქვს, არამედ მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საერთაშორისოსამართლებრივი პრობლემების მოგვარების გზების ძიებაში.

კონსტანტინე კორკელია